ხელშეკრულება # 8

სახელმწიფო შესყიდვის შესახებ

ბარისახო 20 ოქტომბერი 2016 წელი

ერთის მხრივ, სსიპ დუშეთის მუნიციპალიტეტის სოფელ ბარისახოს საჯარო სკოლა (შემდგომში – მყიდველი), დირექტორი მარინე გიგაური სახით და მეორეს მხრივ, ი/მ ---------- (შემდგომში – გამყიდველი), ვხელმძღვანელობთ რა საქართველოში მოქმედი კანონმდებლობით, ვდებთ წინამდებარე ხელშეკრულებას შემდეგზე:

**1. ხელშეკრულების საგანი**

1.1. ხელშეკრულების საგანია სსიპ დუშეთის მუნიციპალიტეტის სოფელ ბარისახოს საჯარო სკოლის ბიუჯეტის სახსრებით ---------- შეძენა წინამდებარე ხელშეკრულებით გათვალისწინებული პირობების შესაბამისად, ერთ პირთან მოლაპარაკებით.

**2.შესყიდვის ობიექტი**

2.1.შესყიდვის ობიექტია ---------- შეძენა (CPV კოდი 39800000).

**3. ხელშეკრულების საერთო ღირებულება**

3.1. შესყიდვის ობიექტის ფასი განისაზღვრება ლარებში.

3.2.შესყიდვის ობიექტის საერთო ღირებულებაა ---------- ---------- ლარი.

**4. შესყიდვის ობიექტის ხარისხი და გარანტია**

4.1.გამყიდველი იძლევა გარანტიას, რომ შესყიდვის ობიექტის ხარისხი უპასუხებს ხელშეკრულების პირობებს და დააკმაყოფილებს მყიდველის მიერ განსაზღვრულ მოთხოვნებს.

**5. შესყიდვის ობიექტის მიწოდების ვადები, ადგილი და პირობები**

5.1. შესყიდვის ობიექტის მიწოდების ვადა განისაზღვრება ხელშეკრულების ხელმოწერიდან ხელშეკრულების დასრულებამდე.

5.2. შესყიდვის ობიექტის მიწოდების ადგილია: სოფ. ბარისახო.

5.3.შესყიდვის ობიექტის მიწოდების პარალელურად, გამყიდველი ვალდებულია უზრუნველყოს თანმხლები დოკუმენტაციის წარდგენა.

**6. შესყიდვის ობიექტის მიღება-ჩაბარების წესი**

6.1.შესყიდვის ობიექტის მიღება ფორმდება მიღება-ჩაბარების აქტით, რომელიც დადასტურდება მყიდველისა და გამყიდველის მიერ საამისოდ უფლებამოსილი წარმომადგენლების ხელმოწერებით.

**7. ანგარიშსწორების ფორმა, გრაფიკი (ვადები) და ადგილი**

7.1. გამყიდველთან ანგარიშსწორება განხორციელდება ლარებში.

7.2. შესყიდვის ობიექტის ღირებულების ანაზღაურება მოხდება უნაღდო ანგარიშის წესით.

7.3.ანგარიშსწორება მყიდველის მიერ მოხდება მიღება ჩაბარების აქტის გადაცემისა ან/და ელექტრონული ზედნადების ატვირთვის შემდეგ.

7.4. ანაზღაურების ადგილია: დუშეთი.

**8. მხარეთა უფლება-მოვალეობანი**

8.1. მყიდველს უფლება აქვს:

- შეამოწმოს შესყიდვის ობიექტის ხარისხის შესაბამისობა ხელშეკრულებით გათვალისწინებულ პირობებთან.

8.2. მყიდველი ვალდებულია:

- მოახდინოს ანგარიშსწორება გამყიდველთან ხელშეკრულებით გათვალისწინებული პირობების

მყიდველი | გამყიდველი

შესაბამისად:

- უზრუნველყოს შესყიდვის ობიექტის მიღება.

8.3. გამყიდველს უფლება აქვს:

– მოსთხოვოს მყიდველს შესყიდვის ობიექტის ღირებულების ანაზღაურება ხელშეკრულებით გათვალისწინებული პირობებით.

8.4. გამყიდველი ვალდებულია:

– მიაწოდოს მყიდველს ხელშეკრულებით გათვალისწინებული შესყიდვის ობიექტი, დაიცვას ხელშეკრულებით გათვალისწინებული ყველა პირობა.

## 9. მხარეთა პასუხისმგებლობა ხელშეკრულების დარღვევისას

9.1.მხარეების მიერ ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულების შეუსრულებლობა გამოიწვევს პასუხისმგებლობას მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად.

9.2.თუ ხელშეკრულების რომელიმე მხარე დაარღვევს წინამდებარე ხელშეკრულებიდან გამომდინარე ვალდებულებას, მაშინ ხელშეკრულების მეორე მხარეს შეუძლია მოითხოვოს ხელშეკრულებიდან გასვლა ვალდებულების შესრულებისათვის მის მიერ დამატებით განსაზღვრული ვადის უშედეგოდ გასვლის შემდეგ (დამატებითი ვადის განსაზღვრისათვის გამოიყენება წერილობითი ფორმა). თუ ვალდებულების ხასიათიდან გამომდინარე შეუძლებელია გამოყენებულ იქნას დამატებითი ვადა, მაშინ დამატებითი ვადის განსაზღვრას უთანაბრდება გაფრთხილება.

9.3.ხელშეკრულებიდან გასვლისას მხარეს შეუძლია მოითხოვოს ზიანის ანაზღაურება, რომელიც მას მიადგა მეორე მხარის მიერ ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულების შეუსრულებლობით.

9.4. ხელშეკრულებიდან გასვლასთან და ზიანის ანაზღაურებასთან დაკავშირებით შესაბამისად გამოიყენება საქართველოს სამოქალაქო კოდექსი.

9.5.ხელშეკრულებით გათვალისწინებული ვალდებულების შეუსრულებლობის ან ვალდებულების შესრულების ვადების დარღვევის შემთხვევაში, დამრღვევ მხარეს დაეკისრება პირგასამტეხლოს გადახდა ვალდებულების შესრულების ყოველ ვადაგადაცილებულ დღეზე ხელშეკრულების საერთო ღირებულების 0,5%-ის ოდენობით.

## 10. ხელშეკრულების მოქმედების ვადა

10.1. ხელშეკრულების მოქმედების ვადა განისაზღვრება ხელშეკრულების ხელის მოწერის დღიდან ---------- 31-12-2016 წ. ----------ამდე.

## 11. ხელშეკრულების პირობების გადასინჯვის შესაძლებლობა

11.1. წინამდებარე ხელშეკრულების პირობების, მათ შორის, ფასის შეცვლა დაუშვებელია, თუ ამ ცვლილებების შედეგად იზრდება ხელშეკრულების საერთო ღირებულება ან უარესდება ხელშეკრულების პირობები შემსყიდველი ორგანიზაციისათვის, გარდა საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 398-ე მუხლით გათვალისწინებული შემთხვევებისა. ხელშეკრულების პირობების გადასინჯვა ხდება საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით.

## 12. ფორს-მაჟორი

12.1.მხარეები არ არიან პასუხისმგებელნი თავიანთი ვალდებულებების სრულ ან ნაწილობრივ შეუსრულებლობაზე, თუ ეს შეუსრულებლობა გამოწვეულია ისეთი გარემოებებით, როგორიცაა წყალდიდობა, ხანძარი, მიწისძვრა და სხვა სტიქიური მოვლენები, აგრეთვე ომები და საომარი მოქმედებები, თუ ისინი უშუალო ზემოქმედებას ახდენენ ხელშეკრულების შესრულებაზე. ხელშეკრულების მესრულების ვადა გადაიწევს შესაბამისი დროით, გარემოებათა დასრულების შემდეგ.

12.2.თუ სახელშეკრულებო ვალდებულებების მთლიანი ან ნაწილობრივი შეუსრულებლობის პირობები გაგრძელდა სამ თვეზე მეტ ხანს, მხარეებს უფლება აქვთ შეწყვიტონ ხელშეკრულების მოქმედება, კომპენსაციის უფლების მოთხოვნის გარეშე.

12.3. მხარე, რომელსაც შეექმნა ფორს-მაჟორული გარემოება დაუყოვნებლივ აცნობებს ამის შესახებ მეორე მხარეს.

## 13. დავები და მათი გადაწყვეტის წესი

13.1.ხელშეკრულების შესრულებისას მხარეთა შორის წამოჭრილი დავები ან აზრთა სხვადასხვაობა შესაძლებელია გადაწყვეტილ იქნას ორივე მხარის ერთობლივი მოლაპარაკების საფუძველზე.

13.2.შეთანხმების მიუღწევლობის შემთხვევაში მხარეები მიმართავენ სასამართლოს საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად.

მყიდველი

გამყიდველი

## 14. ხელშეკრულების ინსპექტირების პირობები

14.1.მყიდველი უფლებამოსილია შესყიდვის ობიექტის მიწოდების პარალელურად განახორციელოს შემოწმება, რომლის მიზანია შესყიდვის ობიექტის შესაბამისობის დადგენა ხელშეკრულებით გათვალისწინებულ პირობებთან და მყიდველის მოთხოვნებთან.

14.2.ხელშეკრულების ინსპექტირებას შემსყიდველის მხრიდან განახორციელებს (ბარისახოს საჯარო სკოლის დირექტორი).

14.3.შემოწმების შედეგად გამოვლენილი ნებისმიერი ნაკლის ან დეფექტის შესახებ მყიდველი დაუყოვნებლივ წერილობით აცნობებს გამყიდველს წუნდების მიზეზების მითითებით.

14.4.გამოვლენილი დეფექტის ან ნაკლის აღმოფხვრასთან და ხელახალ ინსპექტირებასთან დაკავშირებული ხარჯების ანაზღაურება ეკისრება გამყიდველს, საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით.

## 15. სხვა პირობები

15.1.მხარეები აუნაზღაურებენ ერთმანეთს მიყენებულ ზარალს საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად.

15.2.არც ერთ მხარეს არა აქვს უფლება გადასცეს მესამე პირს თავისი უფლებები და მოვალეობები, მეორე მხარის წერილობითი თანხმობის გარეშე.

15.3. მესამე პირთან ურთიერთობაში მხარეები მოქმედებენ თავიანთი სახელით, ხარჯებითა და რისკით.

15.4.ხელშეკრულება შედგენილია ქართულ ენაზე, ორ ეგზემპლარად, რომელთაგან თითოეულს აქვს თანაბარი იურიდიული ძალა და ინახება ხელმომწერ მხარეებთან. ხელშეკრულებასთან დაკავშირებული ნებისმიერი მიმოწერა შესრულებული უნდა იყოს ქართულ ენაზე.

15.5. წინამდებარე ხელშეკრულების ნებისმიერი ცვლილება ან დამატება ძალაშია მხოლოდ მას შემდეგ, რაც ის წერილობითი ფორმითაა შედგენილი და ხელმოწერილია მხარეთა მიერ.

## 16. მხარეთა იურიდიული მისამართები და რეკვიზიტები

| | |
|---|---|
| მყიდველი: | გამყიდველი: |
| „ბარისახოს საჯარო სკოლა“ | ი/მ „ბარისახო ვენტსკი“ |
| მისამართი: დუშეთი, სოფ. ბარისახო | დუშეთი |
| ტ. 5 77 34 84 35 | ტ. 591284454 |
| ა/ა GE79LB0121124340586000 | ა/ა GE14LB0610000334020018 |
| ს/კ 229281363 | ს/კ 160010001147 |
| | ი/მ |
| მარინე გიგაური | |

| | |
|---|---|
| მყიდველი | გამყიდველი |

# მიღება – ჩაბარების აქტი

22.10.2016წ

სოფელი ბარისახო

ჩვენ, ქვემოთ ხელისმომწერნი,

ერთის მხრივ ----ი/მ „[illegible]" [illegible]----------------------------------------------------------------------- (შემდგომში – მიმწოდებელი),

წარმოდგენილი ----[illegible] [illegible]---------------------------------------------------------------სახით და მეორეს მხრივ, სსიპ – დუშეთის მუნიციპალიტეტის სოფელ **ბარისახოს** საჯარო სკოლა (შემდგომში – შემსყიდველი), წარმომადგენელი მისი დირექტორის **მარინე გიგაურის** სახით, წინამდებარე აქტით ვადასტურებთ, რომ 20-16 წლის 20 ---ოქტომბერს--- დადებული ხელშეკრულება №-8- ის თანახმად, მიმწოდებელმა შემსყიდველს გაუწია, ხოლო შემსყიდველმა მიიღო ---[illegible]--- დაკავშირებული -------------------- მომსახურება, ღირებულებით---165--- (---ასსამოცდახუთი---) ლარი.

ზემოაღნიშნულს ვეთანხმებით, რასაც ვადასტურებთ ხელმოწერით:

| მიმწოდებელი: | დამკვეთი: |
| --- | --- |
| ი/მ „[illegible]"<br>[illegible]<br>ს/ნ 16001000147<br><br>[signature] | დუშეთის მუნიციპალიტეტის<br>სოფელ ბარისახოს საჯარო სკოლა<br>დირექტორი<br><br>[stamp] [signature]<br>მარინე გიგაური |